სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080112578995622

№ 471

08 / თებერვალი / 2022 წ.

შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების 2022 წლის 11 იანვარს წარმოდგენილ იქნა შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის (ს/ნ: 404911592) 2022 წლის 11 იანვრის №L_22-01/027 მომართვა (რეგისტრაციის №166), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2022 წლის 2 თებერვალს შპს „ოპტიმალ გრუპ +“-მა წარმოადგინა 2022 წლის 2 თებერვლის №L_22-02/007 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №1036), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2022 წლის 18 იანვრის №178 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის (ს/ნ: 404911592) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2022 წლის 24 თებერვალს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ს (ს/ნ: 404911592) 2022 წლის 25 თებერვლიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე